პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 დეკემბერი, შაბათი 1968 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 296 (14292)

ხუთწლედი ვადამდე

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი ხამი ქსოვილების ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელია ჩვენს ქვეყანაში. საწარმოს კოლექტივმა ვადამდე, დეკემბრის დასაწყისში შეასრულა ხამეულის გამოშვების წლიური გეგმა. გამოშვებულია 1.200 ათასი მეტრი ზეგეგმითი ნედლეული. სურათზე: საქსოვი საამქროს მოწინავე ცვლის უფროსი ი. ხუჯაძე და ოსტატი ჩ. ვაშაკიძე.

ფოტო ა. მეტრეველისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენი მილიცია

ПРАВДА

20 დეკემბრის მოწინავე

სოციალიზმი მაღალი ორგანიზაციის, წესრიგის, დისციპლინის საზოგადოებაა. იგი მშრომელებს ანიჭებს ფართო უფლებებსა და თავისუფლებებს, „აქმით უზრუნველყოფს ამ თავისუფლებებსა და უფლებებს და ამავე დროს მოქალაქეებს მოვალეობებსაც აკისრებს. არ არსებობს დემოკრატია უდისციპლინოდ, თავისუფლება უპასუხისმგებლოდ, უფლებანი უმოვალეობოდ.

სკკპ პროგრამაში, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საჭიროა ზუსტად დავიცვათ სოციალიტური კანონიერება, აღმოვფხვრათ მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, აღმოვფხვრათ მიზეზები, რომლებიც დამნაშავეობას წარმოშობენ. პარტია თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად იბრძვის ამ ამოცანის შესასრულებლად. ეყრდნობა რა მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, პროფკავშირებს, კომკავშირაა და მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას, იგი დიდ მუშაობას ეწევა სოციალისტური წესრიგის განმტკიცებისათვის, მაღალი შეგნებულობის, ახალმშენოს კანონებისადმი პატივისცემის, ორგანიზებულობისა და დისციპლინანობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის.

სახელმწიფო ორგანოები შორის, რომლებიც უშუალოდ იცავენ მართლწესრიგსა და კანონიერებას, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა მილიციას. დიდი ოქტომბრის პირმშო, ხალხის სისხლი და ხორცი, იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია დგას ჩვენი წყობილების სადარაჯოზე, ემსახურება სოციალიზმის საქმეს. მილიციის მუშაკთა კეთილსინდისიერი შრომა დიდად არის დაფასებული საბჭოთა ადამიანებში. კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მოითხოვს, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესრიგი, გავაძლიროთ ჩვენი მილიციის როლი სახელმწიფოს ინტერესებისა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვაში სხვადასხვაგვარი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველდღიურად და ბეჯითად უნდა სრულყოფდეთ მის მუშაობას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ახლახან განიხილეს საკითხი მილიციის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. მიღებულ დადგენილებას დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მასში ზუსტად არის განსაზღვრული მილიციის ამოცანები თანამედროვე პირობებში, განვითარებულია ლენინის იდეები ხალხთან შინაგან საქმეთა ორგანოების ურღვევი კავშირის შესახებ, მათი საქმიანობის ფორმები და მეთოდები შეხამებულია ახალ ვითარებასთან.

საბჭოთა მილიციის ძალა ის არის, რომ იგი ეყრდნობა მშრომელებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მთელი სიმკაცრისა და აიმტკიცის მიუხედავად მისი მოქმედება მუდამ სამართლიანი, მასებისათვის გასაგები უნდა იყოს. პარტია და მთავრობა მოუწოდებენ მილიციის მუშაკებს ყოველნაირად გააფართოონ ურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მშრომელთა კოლექტივებთან, მათთან ერთად იბრძოლონ უნაკლო აზოგადოებრივი წესრიგისათვის. მილიციის ერთგული თანაშემწეები გახდნენ მრავალრიცხოვანი სახალხო რაზმეულები. საჭიროა კიდევ უფრო გავააქტიუროთ მათი საქმიანობა, გავაძლიეროთ რაზმელთა რიგები ენერგიული, ინიციატივიანი ადამიანებით.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის მილიციის ორგანოების საქმიანობაში პირველ პლანზე სულ უფრო დგება დარღვევათა აღკვეთის, პროფილაქიკის ამოცანები, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა. ეს მოითხოვს, რომ მილიცია პრაქტიკულად უფრო ფართოდ იყენებდეს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მდიდარ გამოცდილებას, კომუნისტური აღზრდის მეთოდებს. უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ მილიციის საქმიანობაში უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები.

მილიციის ავტორიტეტის შემდგომი განმტკიცება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მის ხელმძღვანელებზე, კომუნისტებზე, მთელ პირად შემადგენლობაზე. ხალხის უანგარო სამსახურით, კომუნისტური იდეურობით, მაღალი ორგანიზებულობით ისინი დაუცხრომლად უნდა განამტკიცებდნენ თავიანთ ავტორიტეტს მშრომელთა შორის. მილიციის მუშაკებს დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული, მაგრამ უფლებებს გონივრულად უნდა იყენებდნენ, მუდამ და ყველ-ფერში უნდა იქცეოდნენ პატიოსნად, უანგაროდ, სოციალისტური კანონიერების მოთხოვნების საფუძველზე. დარწმუნება აღზრდის მთავარი მეთოდია, როცა საქმე ეხება ადამიანის შემთხვევითს გადაცდომას, მაგრამ მილიციის თანამშრომლები მკაცრი და შეურიგებელი უნდა იყონ საზოგადოებისათვის საშიში დამნაშავეებისადმი. დამნაშავეობის აღმოფხვრა მილიციის ორგანოების ინიციატივიან, მტკიცე და თანმიმდევრულ მოქმედებას მოითხოვს.

მილიციის მუშაკებს ხშირად უხდებათ ადამიანების რთულ ურთიერთობაში ჩარევა, უფაქიზესი ფსიქოლოგიური სიმების შეხება, ხვდებიან სხვადასხვა ხასიათისა და ბედის ადამიანებს. მით უფრო საჭიროა, რომ თვითეული მათგანი დაუცხრომლად იმაღლებდეს პროფესიულ ცოდნას, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ დონეს, ცდილობდეს, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, ისწავლოს კულტურულად ბრძოლა კანონიერებისათვის. ეს არის მილიციის ავტორიტეტის შემდგომი ზრდის ერთ-ერთი პირობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნით პარტიულ ორგანოებს. უწინარეს ყოვლისა მათ ყურადღება უნდა დაუთმონ კადრების შერჩევასა და განაწილებას, მუშაკთა იდეურ წრთობას, პოლიტიკურ აღზრდას. საჭიროა მილიცია განვამტკიცოთ იდეოლოგიურად მომწიფებული, დიდად კანონმორჩილი, ნიჭიერი ადამიანებით. მის რიგებს ავსებენ კომუნისტები და კომკავშირელები, და საჭიროა ვიზრუნოთ, რომ ისინი რაც შეიძლება მალე ეუფლებოდნენ მილიციის მუშაობის სპეციფიკას, იყონ უნარიანი მებრძოლნი სოციალისტური საერთო ცხოვრების კანონებისა და ნორმების დაცვისათვის. მილიციის დაკომპლექტება, როგორც წესი, უნდა ხორციელდებოდეს მშრომელთა კოლექტივები რეკომენდაციებით.

პარტიულმა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი მილიციის მუშაობისადმი, გააქტიურონ პირველადი ორგანიზაციები და პარტჯგუფები მის ქვეგანაყოფებში. მათ უნდა გაადიდონ მომთხოვნელობა კადრებისადმი და ამავე დროს უფრო მეტად იზრუნონ მილიციის ორგანოებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და პირადი შემადგენლობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებია სხდომებზე სისტემატურად უნდა განიხილონ მილიციის საქმიანობის ანგარიშები. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად იბრძოლონ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ მილიციის კავშირი საწარმოების, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივებთან.

იმ საფუძველზე, რომ სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების სახელწოდება ვერ ასახავდა ყველა ფუნქციას, რომლებსაც ისინი ასრულებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში, მას ეწოდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა უნდა სრულყონ თავიანთი მუშაობა კანონიერების უმკაცრესი დაცვის საფუძველზე, აქტიურად იბრძოლონ მართლწესრიგის დარღვევათა აღმოფხვრისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

მშრომელთა რევოლუციური მონაპოვრების დაცვისათვის შექმნილი საბჭოთა მილიცია კვლავაც ფხიზლად შეაყრულებს თავის საპატიო მოვალეობას, ერთგულად ემსახურება ხალხს, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა კავშირის კომპოზიტორები და მუსიკისმცოდნენი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან შეიკრიბნენ თავიანთ IV სრულიად საკავშირო ყრილობაზე, მხურვალე, გულითად სალამს უძღვნიან შშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენ გამსჭვალული ვართ უდიდესი მადლიერების გრძნობით პარტიისა და მთავრობისადმი ჩვენი მუშაობის მაღალი შეფასებისათვის. კომპოზიტორთა კავშირის დაჯილდოება ლენინის ორდენით გვავალებს კიდევ უფრო დაძაბულად და ნაყოფიერად ვიშრომოთ. მთელ ჩვენს შემოქმედებითს ძალებს მოვახმართ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებსაც პარტია უსახავს სოციალისტური კულტურის მოღვაწეებს.

ჯერ კიდევ ჩვენი სახელმწიფოს გარიჟრაჟზე საბჭოთა მთავრობის ერთერთ პირველ დეკრეტში, რომელსაც ხელს აწერს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ლაპარაკი იყო „სახელმწიფო მუსიკალურ მშენებლობაზე". მუსიკა მოწოდებული იყო თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა სოციალისტური წყობილების ჩამოყალიბებაში. შემდგომშიც პარტია უცვლელად აღნიშნავდა მუსიკალური ხელოვნების დიდ მნიშვნელობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლის ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის საქმეში.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენს ქვეყანაში შექმნილია საბჭოთა მუსიკოსების წარმატებითი შემოქმედებითი საქმიანობის ყველა პირობა. ჩვენ, რომლებმაც დაოცით, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ ჩვენი კოლეგები კაპიტალისტურ ქვეყნებში, უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ: არც ერთ ამ ქვეყანაში არ არის ხელოვანთა შემოქმედების ისეთი ხელშემწყობი პირობები, როგორც ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში.

პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა ჩვენი ხელოვნების იდეური სიწმინდისათვის, ჰუმანური მეპრთულებისათვის, მისი ჭეშმარიტი დემოკრატიზმისა და ხალხთან მჭიდრო კავშირისათვის გამოხატავს საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მისწრაფებებს. ჩვენ მუსიკას ვწერდით და ვწერთ არა ესთეტთა ვიწრო წრისათვის, არამედ მშრომელთა უფართოესი მასებისათვის, რომელთა მოთხოვნილება, გემოვნება, ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი დღითიდღე იზრდება. ჩვენი ხელოვნებისათვის მუდამ დამახასიათებელი იყო თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო თემები; მისთვის მუდამ დამახასიათებელი იყო კომუნისტური იდეურობა, ცხოველმყოფელი პათოსი, დიდი ადამიანურობა და ემოციურობა.

საბჭოთა მუსიკის ნაწარმოებებს რომ ისმენს, დედამიწის მილიონობით ადამიანი წწუნდება, რომ დაუმარტყლია სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების შესაძლებლობანი. ყალბი, უსაფუძვლოა იმ ბურჟუაზიულ ესთეტთა მტკიცებანი, რომლებიც ცდილობენ ყოველნაირად გაუტეხონ სახელი ჩვენს ხელოვნებას. საბჭოთა მუსიკის წარმატებანი ცოცხალი მაგალითებით ამტკიცებენ სოციალისტური რეალიზმის უდიდეს ძალას, რეალიზმისა, რომელსაც საფუძვლად უდევს პატრიოტობისა და ხალხურობის პრინციპები, რომელიც კლასიკური ტრადიციებისადმი ერთგულებას უხამებს გაბედულ ნოვატორულ ძიებას, მრთლად ასახავს ცხოვრების რევოლუციურ განვითარებას, მის ისტორიულ პერსპექტივას.

წლითიწლობით ვითარდება ურთიერთობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კომპოზიტორთა შორის, მტკიცდება ჩვენი ერთიანობა. მტრები ვერასოდეს ვერ შეიტანენ განხეთქილებას სოციალისტური ბანაკის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში, ვერ ჩამოაგდებენ შუღლს მათ შორის. საბჭოთა კომპოზიტორები მხურვალედ იწონებენ ჩვენი მთავრობის საგარეოპოლიტიკურ ხაზს და მიესალმებიან მის დროულ ღონისძიებებს ჩეხოსლოვაკიის მიმართ იმპერიალისტური რეაქციის მშაკვრული ვეგეგმების წინააღმდეგ. ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულნი, ჩვენ მხარს ვუჭერთ დემოკრატული ვიეტნამის მამაც მეომრებს, ყველას, ვინც იბრძვის იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ. მძიმე სულიერი კრიზისით მოცული კაპიტალისტური სამყაროს იდეოლოგია ჩვენთვის სრულიად უცხოა. ჩასაფუძვლად განწირულია იმპერიალისტური პროპაგანდის ყველა ცდა იდეური გავლენა მოახდინოს საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე.

საბჭოთა მუსიკოსები გონებითა და გულით მხარში უდგანან კომუნიზმის მშენებელ ჩვენს ხალხს!

აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყოველ დონეს ვიხმართ, რათა შევქმნათ ჩვენი ხალხისათვის ბახლობელი და ძვირფასი ახალი ნაწარმოებები, რომლებიც შეძლებენ ჩაუნერგონ მას მაღალი იდეური და ზნეობრივი თვისებები, განამტკიცონ მისი პატრიოტული გრძნობები. მუსიკალურ-ესთეტიკური აღზრდის საქმისათვის მთელი პასუხისმგებლობის შეგნებით ჩვენ ყოველდღიურად მივიღებთ მონაწილეობას მასობრივი მუსიკალური განათლების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდობას შორის.

ვემზადებით ჩვენთვის უსაზღვროდ ძვირფასი ადამიანისადმი — რევოლუციის ბელადისადმი მიძღვნილი ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით ღირსეულად შევხვდეთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას ვუსურვებთ საბჭოთა მუსიკას, რომელიც მთელ მსოფლიოს ჰკენს დიად ლენინურ იდეებს, დიდ სიმართლეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე.

დაე კვლავაც იყოს იგი ნამდვილი ჰუმანიზმისა და სოციალისტური საზოგადოების მაღალი სულიერი კულტურის ცოცხალი განსახიერება.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს, რომელიც ძლევამოსილად ახორციელებს მთელი პროგრესული კაცობრობის ნათელ იდეალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მიუძღვის ჩვენს ქვეყანას კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

კომპოზიტორთა IV სრულიად საკავშირო ყრილობა

ლენინის ორდენი საბჭოთა კომპოზიტორების დროშაზე

მოსკოვი, 20 დეკემბერი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მუშაობას განაგრძობს კომპოზიტორთა მე-4 სრულიად საკავშირო ყრილობა.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, კ. ნ. დემიჩევი, კ. ტ. კატუშევი. მათთან ერთად არიან ცნობილი საბჭოთა მუსიკოსები.

დილის სხდომაზე გაიმართა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირისათვის ლენინის ორდენის გადაცემის ცერემონია, რომელითაც იგი დაჯილდოდა საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის.

ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების ტაშის გრიალში მაღალი ჯილდო გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ.

□

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა საფრანგეთის ელჩს

20 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რ. სეიდუ დე კლოზონი.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას. (საკდესი).

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმი

კომპოზიტორთა IV სრულიად საკავშირო ყრილობაზე აირჩიეს გამგეობა 103 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია 37 კაცის შემადგენლობით.

20 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ახალი გამგეობის პირველი პლენუმი. არჩეულია გამგეობის სამდივნო 33 კაცის შემადგენლობით.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად არჩეულია ტ. ნ. ხრენიკოვი.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ი. მ. ალექსანდროვი.

(საკდესი).

□

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკება

19 დეკემბერს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შერეული კომისია.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ბოლო დროს სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის დაიდო მთელი რიგი დიდი სავაჭრო კონტრაქტები, რომლებიც ითვალისწინებენ გემების, ავტომობილმშენებლობის, პოლიგრაფიული მრეწველობისა და სხვა დარგების მოწყობილობის მიწოდებას. (საკდესი).

ДНЕВНИК ПЕРЕВОДЧИКА

დღის წესრიგშია არქიტექტურის პროგლემები

როგორი უნდა იყოს ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გარეგანი სახე, რა არის საჭირო თანამედროვე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის, როგორ უნდა გვესმოდეს თანამედროვე ეტაპზე ტერმინი „ეროვნული არქიტექტურა" — ეს საარსებო საკითხები დგას ღღეს ხუთრთმოძღვართა, დამპროექტებელთა, მშენებელთა, შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე. და ჩვენი თითოეული პასუხისმგებელია იმისათვის, თუ როგორი წარსდგება ქალაქები და სოფლები მომავალ თაობათა წინაშე.

თანამედროვე ხუთრთმოძღვრების ამ და სხვა პრობლემებს იხილავდა 19 დეკემბერს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ გამართული რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის ყველა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენელნი.

თათბირი შეხავალი სიტყვით გახსნა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ი. ჩხენკელმა.** მოხსენება „თანამედროვე ქართული არქიტექტურის მიმართების საკითხები" გააკეთა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა **ი. ციციშვილმა.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა **ნ. ჯანბერიძემ,** თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქალაქთმშენებლობის სექტორის ხელმძღვანელმა **ბ. მამინაიშვილმა,** ამავე ინსტიტუტის სამშენებლო ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელმა **გ. მირიანაშვილმა,** საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ზ. ლეჟავამ,** საქალაქმშენის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა **ვ. ჩხეიძემ,** საქართველოს დამსახურებულმა არქიტექტორმა **ო. ჯალანდარაშვილმა,** მოქანდაკე **ე. ამაშუკელმა,** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგემ **კ. ყიფშიძემ,** „თბილქალაქპროექტის" მე-4 არქიტექტურული სახელოსნოს პროექტის მთავარმა არქიტექტორმა **რ. კიკნაძემ,** არქიტექტორმა **ნ. ციციშვილმა,** თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების განყოფილების ხელმძღვანელმა **ნ. მგალობლიშვილმა.** „თბილქალაქპროექტის" ინსტიტუტის მე-4 არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელმა **შ. უავლაშვილმა,** საქართველოს შახტმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა **მ. ქებულაძემ,** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის დოცენტმა **გ. ჩიგოგიძემ,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ო. თუხარელმა.**

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ საჭიროა აპროექტონ და აშენონ ლამაზი და მოხერხებული შენობები, გამოიყენონ უახლესი საშენი მასალები, რაც შეიძლება მალე შექმნან ქალაქების განაშენიანების გენერალური გეგმები, რათა ისინი ვითარდებოდნენ გეგმების ზუსტი შესაბამისობით.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს **დ. გ. სტურუამ** და **რ. ი. ფრუიძემ.** (საკდესი).

ჩვენს ლიად საკითხებში

მინსკის საავტომობილო ქარხნის 69 წლის საგვირთო ავტომობილები

მინსკი, (საკდესი). მინსკის საავტომობილო ქარხანაში დაიწყო მანქანების **მაზ-516-ის** პირველი სამრეწველო პარტიის აწყობა. ავტომობილებმა გაიარეს გამოცდა და სპეციალისტთა და შოფერთა კარგი შეფასება დაიმსახურეს.

ახალი სატვირთო მანქანა არსებითად განსხვავდება ძველი მანქანებისაგან, უთხრეს საკდესის კორესპონდენტს საწარმოს მთავარი კონსტრუქტორის განყოფილებაში. საბჭოთა ავტომობილმშენებლობის **პრაქტიკაში პირველად მანქანას აქვს** დამატებითი საყრდენი ღერძი, რომელიც სატვირთო ავტომობილის ფუძე გარბენის დროს მაღლა იწევა. ამის მეოხებით მცირდება სალტეების ცვეთა და საბობის ხარჯვა, იზრდება სიჩქარე.

მანქანების სერიული წარმოება ახალ წელს დაიწყება.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იდგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო გზების რესპუბლიკური სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატრანსპორტის მთავარი სამმართველოს ბაზაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კბილაძე

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი.

სპორტული ფილმების დღესასწაულის შედეგები

ДОСРОЧНЫЙ ВСЕСОЮЗНЫЙ КИНОФЕСТИВАЛЬ

დაუფიქსეს სპორტული ფილმების მეორე სრულიად საკავშირო ფესტივალის ალბომი, რომელიც ხუთი დღის მანძილზე მიმდინარეობდა რუსთაველის კინოთეატრში.

საქართველოს კორესპონდენტმა სთხოვა ფესტივალის საორგანიზაციო კომეტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბ. მ. სირაძეს ეამბნა სპორტული ფილმების ამ წარმომადგენლობითი ფორუმის შედეგების შესახებ, საბჭოთა კინემატოგრაფიისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ.

— ამ ბოლო წლებში, — თქვა ვ. მ. სირაძემ, — ჩვენმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს ბევრი საინტერესო ფილმი სპორტის შესახებ. უეჭველია, ამ თემამ გაიტაცა ხელოვნების მრავალი მოღვაწე, ღირსეული ადგილი დაიკავა საბჭოთა კინოხელოვნებაში. ასე წარმოიშვა სპორტული ფილმების ფესტივალების მოწყობის იდეა, რაც უკვე კარგ, ტრადიციად იქცა.

ვ. მ. სირაძემ აღნიშნა, რომ მეორე ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვნად მეტი მაღალმხატვრული ფილმი, ვიდრე პირველ, მოსკოვის ფესტივალზე. ხუთი დღის მანძილზე ეკრანზე ერთმანეთს ცვლიდნენ ჩვენი კინემატოგრაფისტების ღრმა, სერიოზული ნამუშევრები. მიმდინარეობდა ქვეყნის 26 კინოსტუდიის შემოქმედებითი შეჯიბრება, რომლებმაც კონკურსზე წამოადგინეს დაახლოებით 60 მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო - პოპულარული, სასწავლო და ულტრაპლიციური ფილმი.

არავის ეეჭვის არ იწვევს, რომ მასობრივი ფიზიკულტურის პროპაგანდის საუკეთესო ფორმაა პროპაგანდა კინოს საშუალებით. ამ აზრით ფესტივალმა სავსებით დანმნულება.

ვ. მ. სირაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ფესტივალი ხელს შეუწყობს აგრეთვე საბჭოთა კინემატოგრაფიის სრულყოფასა და განვითარებას, ახალი შემოქმედებითი ძალების გამოვლინებას.

არა მარტო თვით ფესტივალი, ხაზი გაუსვა ვ. მ. სირაძემ, არამედ მისი მონაწილეების შეხვედრები მაყურებლებთან, თბილისის საწარმოთა მშრომელებთან, ფილმების კოლექტიური განხილვა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლო აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა, რომ საქართველოს— სახელოვანი სპორტული ტრადიციების რესუბლიკის საზოგადოებრიობამ ასეთი დიდი ინტერესი გამოიჩინა სპორტული ფილმების პარადისადმი. საქართველოს კინემატოგრაფისტები დიდ ვალში არიან ჩვენი სპორტსმენების წინაშე, რომლებმაც თავიანთი წვლილით საბჭოთა სპორტის მიღწევებში დაიმსახურეს, რომ მათი ცხოვრება აღიბეჭდოს კინოფირზე. მართალია, ჟურნალ დიპლომებით აღნიშნა ქართველ კინემატოგრაფისტთა რამდენიმე ნამუშევარი, მაგრამ ეს საკმარისი როდია.

პროპაგანდას უწევენ რა ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, თქვა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ჩვენმა კინოფილმებმა ეკრანებზე უნდა წარმოსახონ გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენების, ოლიმპიურ ასპარეზობათა, მსოფლიო ჩემპიონთა, ევროპის, სსრ კავშირის რეკორდსმენთა სახელები. ამან ხელი უნდა შეუწყოს მომავალ თაობათა აღზრდას.

ამასთან დაკავშირებით, თქვა შემდეგ ვ. მ. სირაძემ, მინდა აღვნიშნო ფილმი „დარტყმა! კიდევ დარტყმა!". როგორც ვიცით, ეს ფილმი აღიარებულია ფესტივალის საუკეთესო მხატვრულ ფილმად. განსაკუთრებით დამახსოვრდა ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელის ტამანცევის სახე. ეს არის სულით ძლიერი, მამაცი და პრინციპული ადამიანი, რომელსაც თავდადებით უყვარს თავისი საქმე. მეტი ასეთი მწვრთნელი, ცხოვრებაში მეტი ასეთი ადამიანი რომ გვყავდეს, მნიშვნელოვნად მეტ წარმატებებს მოვიპოვებდით სპორტში.

ვ. მ. სირაძემ აღნიშნა აგრეთვე კინოჟურნალი „საბჭოთა სპორტი" № 9 დალიტვის კინოსტუდიის ნაწარმოები კინოჟურნალი „ცხენები და ბიჭუნები", უკრაინელ კინემატოგრაფისტთა ოსტატობა, ბრწყინვალე ოპერატიული მუშაობა ფილმში „ცაში მხოლოდ ქალაშვილები არიან".

საუბრის დასასრულს ვ. მ. სირაძემ დიდი მადლობა გადაუხადა ყველა ორგანიზაციასა და პირს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სპორტული ფილმების ფესტივალის მოწყობაში.

განსაკუთრებით მინდა მადლობა გადავუხადო ფესტივალის ჟიურის და მის თავმჯდომარეს, ჩვენს ძვირფასს ბორის ჩირკოვს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ფესტივალის წარმატებისათვის, იმისათვის, რომ იგი გადაქცეულიყო საბჭოთა სპორტული კინოხელოვნების ნამდვილ დღესასწაულად.

და მაინც, თუმცა ეს უკვე მეორე ფესტივალია სპორტული ფილმებისა, ჩვენ ჯერ კიდევ კარგი ტრადიციის ჩამოყალიბების პროცესში ვართ.

მესამე ფესტივალის მონაწილენი გაითვალისწინებენ ნაკლოვანებებს, რომლებიც გამომჟღავნდა და მორიგ დათვალიერებაზე წარადგენენ ახალ, მაღალიდეური მხატვრულ ფილმებს, კარგ მულტიპლიკაციურ სურათებს საბჭოთა ფიზიკულტურელების ცხოვრებასა და სპორტული მიღწევების შესახებ. (საკდესი).

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია გაიხსნება 1968 წლის 24 დეკემბერს, დილის 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი 4, ტელეფონი 99-08-54 და 99-58-19.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლ

წარმოების მაღალი კულტურისათვის

შ. დ. კიკნაძე,
საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს პროფსაბჭოს დიპლომები. ეს იქნება ჯილდო დიდი და ბეჯითი შრომისათვის. დათვალიერების შედეგად ხომ უნდა მიღწეულ იქნეს წარმოების გადამწყვეტ მაჩვენებელთა შემდგომი გაუმჯობესება: შრომის ნაყოფიერების გადიდება, კომპლექსური მექანიზაციისა და ნახევრად პროცესების ავტომატიზაციის ფართო დანერგვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა. დათვალიერების პროგრამაში შეტანილია აგრეთვე რატიფიკაციის საწარმოო საკუთრების უზრუნველყოფა, მძიმე ხელის შრომის აღმოფხვრა, აგრეთვე საინჟინრო და სამმართველო შრომის მექანიზაცია. დათვალიერებამ აგრეთვე უნდა გაუმჯობესოს თითოეული სამუშაო ადგილის ორგანიზაცია, ამაღლოს მოწყობილობის მომსახურების დონე სამრეწველო ესთეტიკის მოთხოვნათა შესაბამისად.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში დასახულია მნიშვნელოვანი ამოცანა— შესრულდეს იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების, კარგი სანიტარულ-ჰიგიენური ვითარების შექმნასა და საწარმო ტრავმატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციას.

წარმოების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება — რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობის შესახებ.

დათვალიერების პირველი შედეგები მოწმობენ იმ დიდ შემოქმედებით აღმავლობას, რომლითაც მისი მონაწილენი ემზადებიან საიუბილეო თარიღისათვის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

„კარგ მაგალითს“ გვიჩვენებენ თბილისის საწარმოთა — კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანის, სართავ-სატრიკოტაჟო და კერამიკული კომბინატების, რუსთავის ქიმიური კომბინატის, ჟუთათის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნების, ბათუმის მანქანათაშენებელი და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და მთელი რიგი სხვა ქარხნების პროფკავშირული კომიტეტები და სამეურნეო ორგანიზაციები, რომლებმაც დროულად დაამტკიცეს დამთვალიერებელი კომისიები და დათვალიერების მოწყობის პირობები და შეიმუშავეს წარმოების კულტურის ამაღლების კომპლექსური გეგმები.

დამთვალიერებელი კომისიები და საწარმოთა პროფკავშირების საფარეო-საქარხნო კომიტეტები სათანადო კონტროლს უწევენ დათვალიერების მსვლელობას. ყოველთვიურად იხილავენ დათვალიერების პირველ შედეგებს და შეფასებას აძლევენ საამქროებში შრომის დაცვის მდგომარეობას. ამ შედეგებსა და შეფასებებს ითვალისწინებენ „სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა განსაზღვრისას.

დათვალიერების ასეთი ორგანიზაციის დადებით შედეგებს მოწმობს ის ფაქტი, რომ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში ამ ბოლო თვეებში შრომის შემსუბუქების მიზნით შეტანილი 86 წინადადებიდან უკვე 50 დაინერგა წარმოებაში, რუსთავის ქიმიურ კომბინატში 78 წინადადებიდან დაინერგა 51, ჟუთათის ავტოქარხანაში 126 წინადადებიდან დაინერგა 61 და სხვ.

ჟუთათის ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხანაში საექსპლატაციოდ გადაცემულია სპეცტანსაცმლის სარეცხი მექანიზებული სამრეცხაო. იქვე ელექტრომექანიკურ ქარხანაში დაინერგა სამსხმელო და გალვანურ საამქროებში დეტალების ბიდროლექტივი აქედანვე შეუდგა მომავალი წლის დავალებათა ვადაზე შესრულებისათვის მზადებას. კარგად გვიფიქრია, რომ ჩვენს პროდუქციაზე, რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და აგრეგატებზე, კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანებზე დიდ მოთხოვნილებას აყენებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ახლახან დაამთავრა მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ. მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის რჩეულებმა ამ სესიაზე დიდი სჯა-ბაასი გამართეს სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, დასახეს ხუთწლედის მეოთხე წლის ამოცანები და მათი განხორციელების გზები.

ამ ამოცანებში დიდი ადგილი ეთმობა სასოფლო მანქანათმშენებლობას. სწორედ მეტმა ახალმა მანქანებმა, იარაღებმა უნდა შექმნას მტკიცე ტექნიკური ბაზა, რომელზეც დამოკიდებულია სოფლის მატერიალური დოვლათი. ჩვენი ქარხანა სწორედ იმ პროფილის საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით მომავალი წლისათვის ერთიანი შრომით 9 პროცენტით უნდა გაადიდონ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი აქედანვე შეუდგა მომავალი წლის დავალებათა ვადაზე შესრულებისათვის მზადებას. კარგად გვიფიქრია, რომ ჩვენს პროდუქციაზე, რომელ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და აგრეგატებზე, კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანებზე დიდ მოთხოვნილებას აყენებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა.

ჩვენი ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი საწარმოა. აქ პირველი ხუთწლედებიდან დაიწყეს სოფლისათვის საჭირო მანქანების მშენებლობა. ახლადგანვითარებული ჩაის წარმოება აქედან იღებდა საჭირო მანქანებს, აქ მზადდებოდა ხილის სახმობი ღუმელები, ხილადამუშავებელი და აბრეშუმსახვევი დაზგები. წლების მანძილზე ჩვენი ქარხანა თავის პროდუქციას აწვდიდა რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობასაც. 1956 წლიდან კი ავლაჯ ჩაის დამზარსხებელი მანქანების დამზადებაზე გადავიდა. მალე ქარხნის მაშინდელი კოლექტივის წინაშე დაისვა ამოცანა აგვითვისებინა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ახალი იარაღ-მანქანები. თუ როგორი ენთუზიაზმით შეუდგა ამ საქმეს ჩვენი კოლექტივი და რა წარმატებებს მიაღწია, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქარხნის დღევანდელობა. ჩვენთან, ჩვენი მუშაკების უშუალო მონაწილეობით დამზადდა ქართული მეცნიერული აზრის შესანიშნავი ქმნილება — ჩაის საარფი მანქანა „საქართველო“, სოფლის მეურნეობაში, კერძოდ ყურძნის გადამამუშავებელ ქარხნებში საგზური მოვიცით მრავალ ავტომატურ აგრეგატს, ნაკადურ ხაზს, ღვინის მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებს. ერთი სიტყვით, 26 კომისრის სახელობის ქარხანა დღეს მსხვილი მანქანათსამშენებლო საწარმოა.

დასასრულს უახლოვდება ხუთწლედის მესამე წელი. ცოდად როდ ამთავრებს მას ჩვენი კოლექტივი. 11 თვეში სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის გამოშვების დაკალება 35 ათასი მანეთის გადამეტებით შესრულდა. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 1,6 პროცენტით, ქარხანას კარგახანია რეკლამაცია არ მიუღია. მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნავდით, მომავალი უფრო დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს.



ჟოველ წელს ახალი სიბარული მოაქვს ჩვენთვის. საიუბილეო წელსაც მაღალი ჯილდოთი აღინიშნა ველისციხელ კოლმეურნეთა შრომა. მიღწეული წარმატებებისათვის გადმოგვეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა, ბევრმა კოლმეურნემ მკერდი დაიმშვენა მთავრობის ჯილდოებით. საიუბილეო დროშა რომ ჩავიბარეთ, პირობა დავდეთ ახალი წარმატებებით გავახარებთ დედა-სამშობლოს და მეორედ დავისაკუთრებთ საკავშირო დროშას. ველისციხელებს არ სჩვეოდათ სიტყვის გატეხვა და ამჯერადაც პირნათელი გამოვედით. წითელი დროშა კვლავ ჩვენთან არის. იგი მეორედ დავისაკუთრეთ.

ამ წარმატებების მოპოვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ველისციხელ სპეციალისტთა თაოსნობამ. **ხუთი წლის წინათ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები სამუშაოდ წავიდნენ იქ, სადაც პროდუქტების სიუხვის ბედი წყდება.** ახლაც ბრიგადებს სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. კადრების ასეთმა შერჩევამ საუცხო ნაყოფი გამოიღო. მათი ხელმძღვანელობით თითქმის ყველა კოლმეურნემ კარგად იცის საქმეშათა ჰროფესია.

ველისციხელი მევენახე გამრჯეა, ვაზის ძალუმად მოყვარული. ჩვენი მევენახისათვის ზვარია საბერისა და დიდების მოხვეჭის ასპარეზი. ეს მათ კარგად იციან და შრომობენ გულდაჯერებით, მუყაითად, სიყვარულით.

ველისციხელი მევენახეები ყველაფერს აკეთებენ, რომ ალაზნის ნოყიერ მიწას გამოსტაცონ მოსავლის მაქსიმუმი და ამას აღწევენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა თანმიმდევრული განხორციელებით, მწის ნაყოფიერების ამაღლებით, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით. ამას უსაზღვროდ სპეციალისტად როგორ მივალწევდით!

ხუთწლედის მესამე წელიც თვალსაჩინო წარმატებებით აღინიშნეთ. ციფრები, რომლებიც ახლა იკავებენ კუთვნილ ადგილებს წლიურ ანგარიშში, გულს გვიბარებენ. კვლავ თავი ისახელეს მევენახეებმა. 502 ჰექტარი მოსავლისმომცემი ვენახი გვაქვს. ჰექტარიდან საშუალოდ 64,8 ცენტნერი ყურძენი მოვკიფეთ, გეგმა კი 63,5 ცენტნერს თვალსწინებდა. სახელმწიფოს მივყიდეთ 3.364 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.350 ტონისა.

ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატთა სია კვლავ გამოცდილი მევენახეებით იწყება. მევენახეობის თერმეტივე ბრიგადიდან

დაეკალოს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უფრო დიდი უყურადღებით მოეკიდონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებას უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების, უფროსარეს ყოვლისა ბრიგადირებისა და ფერმების გამგეების, განყოფილებათა მმართველების კვალიფიკაციის ამაღლებას, ბჭრეთვე სოფლად სპეციალისტების შენარჩუნებას. მათთვის საპირო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებიდან.

1. სოფელს — მეჯი მანქანები

ასე ეხმარება ქალაქი სოფელს

◆

დელობა. ჩვენთან, ჩვენი მუშაკების უშუალო მონაწილეობით დამზადდა ქართული მეცნიერული აზრის შესანიშნავი ქმნილება — ჩაის საარფი მანქანა „საქართველო“, სოფლის მეურნეობაში, კერძოდ ყურძნის გადამამუშავებელ ქარხნებში საგზური მოვიცით მრავალ ავტომატურ აგრეგატს, ნაკადურ ხაზს, ღვინის მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებს. ერთი სიტყვით, 26 კომისრის სახელობის ქარხანა დღეს მსხვილი მანქანათსამშენებლო საწარმოა.

დასასრულს უახლოვდება ხუთწლედის მესამე წელი. ცოდად როდ ამთავრებს მას ჩვენი კოლექტივი. 11 თვეში სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის გამოშვების დაკალება 35 ათასი მანეთის გადამეტებით შესრულდა. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 1,6 პროცენტით, ქარხანას კარგახანია რეკლამაცია არ მიუღია. მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნავდით, მომავალი უფრო დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს.

ჩვენ მევენახეები ყველაფერს აკეთებენ, რომ ალაზნის ნოყიერ მიწას გამოსტაცონ მოსავლის მაქსიმუმი და ამას აღწევენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა თანმიმდევრული განხორციელებით, მწის ნაყოფიერების ამაღლებით, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით. ამას უსაზღვროდ სპეციალისტად როგორ მივალწევდით!

ხუთწლედის მესამე წელიც თვალსაჩინო წარმატებებით აღინიშნეთ. ციფრები, რომლებიც ახლა იკავებენ კუთვნილ ადგილებს წლიურ ანგარიშში, გულს გვიბარებენ. კვლავ თავი ისახელეს მევენახეებმა. 502 ჰექტარი მოსავლისმომცემი ვენახი გვაქვს. ჰექტარიდან საშუალოდ 64,8 ცენტნერი ყურძენი მოვკიფეთ, გეგმა კი 63,5 ცენტნერს თვალსწინებდა. სახელმწიფოს მივყიდეთ 3.364 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.350 ტონისა.

ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატთა სია კვლავ გამოცდილი მევენახეებით იწყება. მევენახეობის თერმეტივე ბრიგადიდან ყველაზე მაღალი მოსავალი იმ ბრიგადამ მიიღო, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ მექვეკრიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ სახელმწიფოს მიჰყიდა 370 ტონა ყურძენი. ფულადმა შემოსავალმა 193.395 მანეთს მიაღწია. თავი ისახელეს აგრეთვე ამირან შომიაშვილის, ირაკლი მემარნიძის, ალეკსი მექვეკრიშვილის, ნიკოლოზ კაკალაშვილის, შალვა თათულაშვილის და სხვათა ბრიგადებმა. აი რა შეუძლია გარჯას და ცოდნას, სიმშის სიყვარულს!

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ რაიონში ბევრი არ იყო ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც მილიონი მანეთი (ფულის ძველი კურსით) შემოსავალი ჰქონდა. ხუთწლედის მესამე წელს კი ჩვენი კოლმეურნეობის მევენახეობის თვითეულ ბრიგადას 100 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს. ფულის ძველი კურსით თუ ვიანგარიშებთ, ჩვენი ბრიგადები ყველა მილიონერია.

ხშირად გვეკითხებიან — **როგორ მოგაყავთ ყურძნის უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავალი, და ჩვენც უბრალოდ ვუპასუხებთ: ვენახების კარგი მოვლით!** ველოწადის ყოველ დროს ჩვენი ზვრები, რომელთა ფართობი ახლა 600 ჰექტარია, ყოველთვის სანიმუშოდ არის მოვლილი და ეს ეტყობა კიდეც გალაღებულ რქაწითელსა და სადერავს, ხუთწლედის

ეს რა მოგვცა ველისციხელთა თაოსნობამ

◆

ყველაზე მაღალი მოსავალი იმ ბრიგადამ მიიღო, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ მექვეკრიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ სახელმწიფოს მიჰყიდა 370 ტონა ყურძენი. ფულადმა შემოსავალმა 193.395 მანეთს მიაღწია. თავი ისახელეს აგრეთვე ამირან შომიაშვილის, ირაკლი მემარნიძის, ალეკსი მექვეკრიშვილის, ნიკოლოზ კაკალაშვილის, შალვა თათულაშვილის და სხვათა ბრიგადებმა. აი რა შეუძლია გარჯას და ცოდნას, სიმშის სიყვარულს!

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ რაიონში ბევრი არ იყო ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც მილიონი მანეთი (ფულის ძველი კურსით) შემოსავალი ჰქონდა. ხუთწლედის მესამე წელს კი ჩვენი კოლმეურნეობის მევენახეობის თვითეულ ბრიგადას 100 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს. ფულის ძველი კურსით თუ ვიანგარიშებთ, ჩვენი ბრიგადები ყველა მილიონერია.

ხშირად გვეკითხებიან — **როგორ მოგაყავთ ყურძნის უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავალი, და ჩვენც უბრალოდ ვუპასუხებთ: ვენახების კარგი მოვლით!** ველოწადის ყოველ დროს ჩვენი ზვრები, რომელთა ფართობი ახლა 600 ჰექტარია, ყოველთვის სანიმუშოდ არის მოვლილი და ეს ეტყობა კიდეც გალაღებულ რქაწითელსა და სადერავს, ხუთწლედის მესამე წელს ვენახებში ნიადაგი ოთხჯერ დავამუშავეთ, ხუთჯერ შევასხურეთ შაბიამნის ხსნარი, ექვსჯერ და მეტჯერაც შევაფრქვიეთ გოგირდი, დროულად ავაბოვეთ და გავფურჩხეთ ვაზი და სხვ.

გონივრულად ვიყენებთ მოსავლიანობის გადიდების ისეთ უტყუარ რეზერვებს, როგორიც არის ვენახის სიმეჩხრის ლაკვიდაცია. მომავალ მოსავალზე ზრუნეა რთველის დამთავრებისთანავე დავიწყეთ. ნიადაგი დავამუშავეთ, მეჩხერ ადგილებში გადავაწყვიტეთ და გამოვრგეთ 136 ათასი ვაზი. ეს სამუშაო სპეციალისტი ბრიგადირების უშუალო ხელმძღვანელობით სრულდება.

ალაზნის ველის მაღლიანი მიწა ღალიანია, მაგრამ ჩვენ მას მაინც ვაპოვიერეთ სასუქებთან. საკმაო დოზით შევიტანეთ მინერალური და ორგანული სასუქები. კოლმეურნეობას მომარაგებული აქვს 80 ტონა აზოტოვანი სასუქი, რასაც გაზაფხულზე ხვნის წინ შევიტანთ და ჩავხვნით. გვალვა არ გვაშინებს. წესრიგშია სარწყავი ქსელი, რაც საშუალებას გვაძლევს თვითეულ მცენარემდე მივიყვანოთ ალაზნის ირხის მაცოცხლებელი წყალი. ტენიანობის შენარჩუნების მიზნით ვენახები უკვე ორჯერ მოვრწყეთ. მექანიზატორების განკარგულებაშია მძლავრი ტექნიკა. კოლმეურნეობა 32 ტრაქტორს, 33 ავტომანქანას, მრავალ კულტივატორსა და სახნავ გუთანს თვლის, რაც სანიმუშოდ არის მოვლილი და შენახული.

უკანასკნელ წლებში მევენახეობაში ფართოდ ინერგება მექანიზაცია, მანქანებით გასტენილებთ

ეს ერ ეკ ონ ომ ი ა

„საჭიროა კვლავაც აღვჭურვოთ სოფლის მეურნეობა თანამედროვე მანქანური ტექნიკით“...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებიდან.

პროდუქციის ხარისხის შემდგომი ზრდის საქმეში. გარდა ამისა, ჩვენს კოლექტივს სოფელთან საწარმოს უფრო დაახლოების მიზნით გადაწყვეტილი აქვს ლაგოდეხში გახსნას ჩვენი ქარხნის ფილიალი, რათა ადგილზევე დამზადდეს კახეთის რაიონების კოლმეურნეობებისათვის საჭირო მანქანები და იარაღები.

ეს ვალდებულებები რომ იკისრა, ჩვენმა კოლექტივმა ახლახან რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს მიმართა მოწოდებით მხარი დაეჭირათ ჩვენი ვალდებულებათა შესრულებისათვის. ბევრი მათგანი ალბათ მალე აბვიბას მხარს, და ერთიანი ძალით შემუშდებით იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს ხუთწლედის მეოთხე წლისათვის.

წინ დიდი თარიღებია — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და საბჭოთა საქართველოს 50 წლის იუბილე. ჩვენი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რომ ღირსეული მაჩვენებლებით აღნიშნოს ისინი.

დ. ჟორჟოლიანი,
თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორი.

• • •

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში მოეწყო სეტყვასთან საბრძოლველ „ალაზნის“ მარკის დანადგართა სერიული გამოშვება. **სურათზე:** (მარცხნიდან): ზეინკალი ა. ტატუაშვილი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ჯ. კობახიძე და აწყობის უბნის უფროსი ოსტატი ა. გუგუტიშვილი ათვალიერებენ „ალაზნის“ მარკის ახალ დანადგართა მორიგ პარტიას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

2. სპეციალისტი გადამწყვეტ უბანზე

ეს რა მოგვცა ველისციხელთა თაოსნობამ

◆

ველისციხელ კოლმეურნეები კვლავაც გონივრულად გამოიყენებენ მდიდარ რეზერვებს და საქმით უპასუხებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

დ. მამისაშვილი,
გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ლენინურ შრომითს ვაცხადებ

სპასალნლო ნობათები

● **გარდაბნის** რაიონის ნორიოს მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები სასახელო მაჩვენებლებით ამთავრებენ 1968 წელს. სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 137 პროცენტით, მარცვლეულისა — 103 პროცენტით, ყურძნისა — 101,1 პროცენტით, კარტოფილისა — 120 პროცენტით, ხორცისა — 104 პროცენტით, რძისა — 100,2 პროცენტით, მატყლისა — 100 პროცენტით, — ეს აცნობა „კომუნისტის“ რედაქციას მეურნეობის დირექტორმა მ. ბრეგვაძემ.

● **ბოლნისის** რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივმა 16 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდა 1.800 ცენტნერი ფრინველის ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.300 ცენტნერისა, კვერცხი — 5.000.118 ცალი ნაცვლად 5.000.000 ცალისა.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამტებებით სახელმწიფოს მიჰყიდოს 40 ცენტნერი ფრინველის ხორცი და 300.000 ცალი კვერცხი, — ეს აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას ფაბრიკის დირექტორმა აბუთიძემ, პარტბიუროს მდივანმა კვესელავამ, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ბოგოროდეცკიმ, მთავარმა ზოოტექნიკოსმა ბაცაცაშვილმა.

□ □

საქართველო—ირანის საგარეო სავაჭრო ურთიერთობა

თბილისში დამთავრდა მოლაპარაკება საქართველოსა და ირანს შორის საზღვრისპირა ვაჭრობის საკითხებზე. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სრულიად საკავშირო საერთაშორისო-სამმართო „ვოსტოკინტორგის“ და ირანის საქმიანი წრეების წარმომადგენლნი. ხელი მოაწერეს ოქმს საქართველოს სს რესპუბლიკასა და ირანს შორის დაახლოებით 500 ათასი საფალუტო მანეთის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

ოქმის ხელისმოწერას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის მხრივ სრულიად საკავშირო საექსპორტო-საიმპორტო გაერთიანება „ვოსტოკინტორგის“ თავმჯდომარე ა. ა. ალეკპეროვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ირანში ა. გ. დროზდოვი, საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარე რ. ს. ელიგულაშვილი სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საზღვრისპირა ვაჭრობა ირანსა და საბჭოთა ქვეყნის სამხრეთ რესპუბლიკებს შორის. ჩვენ უკვე დავდეთ ხელშეკრულებანი — საზღვრისპირა ვაჭრობის წესით საქონლგაცვლის შესახებ აზერბაიჯანთან და თურქმენეთთან.

საქართველოში ხელმოწერილი ოქმი ფრიად მნიშვნელოვანია. გათვალისწინებულია, რომ ჩვენი დელეგაციის შემდეგ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში, ჩამოვლენ ირანის საქმიანი წრეების სხვა წარმომადგენლნი, რომლებიც დაინტერესებული ირანელ საბჭოთა საქონლის შესყიდვით და თავიანთი საქონლის გაყიდვით.

ვაჭამებ რა ზემონათქვამს, განაცხადა დასასრულ ბ-ნმა ხოსროვშახმ, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ საქმიანობის ფართო ასპარეზი გვაქვს საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების დარგში. ამ ურთიერთობის ფორმები მრავალგვარია, და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ახალი კონტაქტების დადებისა და არსებული კონტაქტების განვითარების შესაძლებლობანი დაუშრეტელია. (საქდესი).

თბილისიდან გამგზავრება

ირანის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელსაც თეირანის საავაჭრო პალატის თავმჯდომარე მოჰამედ ხოსროშახი მეთაურობს, 20 დეკემბერს თბილისიდან ერევანს გაემგზავრა. (საქდესი).

„საქართველოს კომუნისტი“ № 12

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ **„საქართველოს კომუნისტის“** მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — პარტიისა და ხალხის საბრძოლო პროგრამაზე; შეუნელებელი ყურადღება მშრომელთა წერილებს; **თ. ნანობაშვილი** — თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი სოციალური შედეგები; **დ. კაკაბაძე** — საბჭოთა რეფორმა და პოლიტიკური მუშაობა.

განყოფილებაში „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“ გამოქვეყნებულია: **ფ. შიხაშვილი** — ვ. ი. ლენინი მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების მოპოვების ფორმების შესახებ; **გ. ფირცხალავა** — კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპები.

„პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაში დაბეჭდილია: **ბ. კუხიანიძე** — კომუნისტთა იდეური წრთობა პარტორგანიზაციის მთავარი საზრუნავია; **ხ. ავიძბა** — აფხაზეთის კომუნისტების კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში; **ჯ. ხვადაძე** — პროპაგანდისტი და ცხოვრება.

ჟურნალს აქვს განყოფილებანი: **„ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკა“**, „საპრობლემო თეორიული სემინარები“, „წერილები და კორესპონდენციები“ და „საძიებელი“ 1968 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებისა.

„საქართველოს კომუნისტი“ № 12

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ **„საქართველოს კომუნისტის“** მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — პარტიისა და ხალხის საბრძოლო პროგრამაზე; შეუნელებელი ყურადღება მშრომელთა წერილებს; **თ. ნანობაშვილი** — თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი სოციალური შედეგები; **დ. კაკაბაძე** — საბჭოთა რეფორმა და პოლიტიკური მუშაობა.

განყოფილებაში „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“ გამოქვეყნებულია: **ფ. შიხაშვილი** — ვ. ი. ლენინი მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების მოპოვების ფორმების შესახებ; **გ. ფირცხალავა** — კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპები.

„პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაში დაბეჭდილია: **ბ. კუხიანიძე** — კომუნისტთა იდეური წრთობა პარტორგანიზაციის მთავარი საზრუნავია; **ხ. ავიძბა** — აფხაზეთის კომუნისტების კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში; **ჯ. ხვადაძე** — პროპაგანდისტი და ცხოვრება.

ჟურნალს აქვს განყოფილებანი: **„ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკა“**, „საპრობლემო თეორიული სემინარები“, „წერილები და კორესპონდენციები“ და „საძიებელი“ 1968 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებისა.

პარტია და მთავრობა განუხრელად ზრუნავენ სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ამის ნათელი დადასტურება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმი, რომელმაც დიდი ამოცანები დაუსახა ჩვენი ქვეყნის მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, მანქანათმშენებელ ქარხნებს, სხვადასხვა სამრეწველო საწარმოებს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებს ტექნიკური აღჭურვილობით და იარაღ-მანქანებით სოფლის უკიდ მომარაგებისათვის.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ახლახან დაამთავრა მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ. მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის რჩეულებმა ამ სესიაზე დიდი სჯა-ბაასი გამართეს სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, დასახეს ხუთწლედის მეოთხე წლის ამოცანები და მათი განხორციელების გზები.

ამ ამოცანებში დიდი ადგილი ეთმობა სასოფლო მანქანათმშენებლობას. სწორედ მეტმა ახალმა მანქანებმა, იარაღებმა უნდა შექმნას მტკიცე ტექნიკური ბაზა, რომელზეც დამოკიდებულია სოფლის მატერიალური დოვლათი. ჩვენი ქარხანა სწორედ იმ პროფილის საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით მომავალი წლისათვის ერთიანი შრომით 9 პროცენტით უნდა გაადიდონ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება.

ეს ერ ეკ ონ ომ ი ა

„საჭიროა კვლავაც აღვჭურვოთ სოფლის მეურნეობა თანამედროვე მანქანური ტექნიკით“...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებიდან.

ლენინის ანდერძი

ალ. ბეგიაშვილი,
ბ. ბეგიაშვილი,
ბ. ბეგიაშვილი,
**ბ

საერთაშორისო ცხოვრება
ბიბლიოთეკა

მსოფლიო დღეს

უცხოეთის დეპეშათა სარკე

მიტინგი ჰანოიში

ჰანოი, 19 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. აფონინი გვატყობინებს:

გუშინ ჰანოიში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ ვიეტნამის გაზთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის 8 წლისთავს.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ხო ში მინი, ტონ დიკ თანგი, ფამ ვან დონგი, ნგუენ ზუი ჩინი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, რომლებსაც შეკრებილნი მჭუხარეტაშით ხვდებიან.

მიტინგი გახსნა ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ტონ დიკ თანგმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ნგუენ სუან იემმა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მუდმივი წარმომადგენლობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა ნგუენ ფუ სო

მ.

გამოსულებმა ხაზი გაუსვეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ფაქტის ისტორიულ მნიშვნელობას, რომელიც ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელია, აღნიშნეს სამხრეთ და ჩრდილოეთ ვიეტნამის ხალხის გამარჯვებანი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამოსულებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს სოციალისტურ ქვეყნებს, მთელ ხალხებს, ვისთვისაც ძვირფასია დედამიწაზე მშვიდობა და სამართლიანობა, ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულ ადამიანებს ვიეტნამელი ხალხის მხარდაჭერისა და დახმარებისათვის. გამოსვლებში კვლავ აღინიშნა ვიეტნამელი ხალხის მტკიცე პოზიცია, რომელიც გამოსატულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხ პუნქტში და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხუთი პუნქტის პროგრამაში სამხრეთ ვიეტნამის დემოკრატიული პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ვიეტნამის საკითხის პოლიტიკურ გადაწყვეტას მთლიანად.

მიტინგის მონაწილეებმა მხურვალედ მიულოცეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტსა და ყველა სამხრეთვიეტნამელ თანამემამულეს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის 8 წლისთავი და მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ვიეტნამელი ხალხი საბოლოოდ გაიმარჯვებს მის სამართლიან ბრძოლაში.

შეხვედრა კარიზში

პარიზი, 19 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ ისევ შეხვდნენ ერთმანეთს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა დელეგაციების მეთაურთა მოადგილეები ხა ვან ლაუ და სირუს ვენსი.

განიხილეს პროცედურული საკითხები ვიეტნამის პროგლემის მოწესრიგების გამო მომავალ შეხვედრებთან დაკავშირებით.

„ალეკრინი“ დაუგრუნეს

კარაკასი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ვენესუელის პრეზიდენტმა რაულ ლეონმ გასცა განკარგულება, რომ კუბას დაუბრუნონ თევზსაჭერი გემი „ალეკრინი“ ეკიპაჟითურთ.

წინათ იუწყებოდნენ, რომ მიმდინარე წლის 20 ნოემბერს კუბის ეს გემი თევზს იჭერდა საერთაშორისო წყლებში დაახლოებით 100 მილზე ვენესუელის ნაპირებიდან. ამ დროს მას ტყვიამფრქვევი და ზარბაზანი დაუშინეს ვენესუელის სამხედრო ხომალდებმა. გემი სერიოზულად დაზიანეს. შემდეგ ბადრაგით მიიყვანეს ვენესუელის ნავსადგურში.

კუბის მთავრობამ ვენესუელის სამხედრო ხომალდების მოქმედება მიიჩნია პროვოკაციად. საერთაშორისო კანონების ელმაფოთებელ დარღვევად.

პრეზიდენტ ლეონის განკარგულებაში ნათქვამია, რომ კუბის გემი „არ ეწეოდა ძირგამომთხრელ მოქმედებას“.

მხოლოდ ფაქტები

● **ბუქარესტი,** 20 დეკემბერი. (საკდესი). რუმინეთის სოციალისტური რევოლუციის დიდი ეროვნული კრების სესიად დღეს მიიღო კანონი სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და კანონი 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო წარმოების გადიდებას მომავალ წელს 10,8 პროცენტით.

1969 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია შემოსავლის ნაწილში 153,1 მილიარდი ლეი, გასავლის ნაწილში — 152,1 მილიარდი ლეი. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სოციალისტური საწარმოებისა და დაწესებულებებიდან შეადგენს 142,8 მილიარდ ლეის. გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად დაწესებულია 100,4 მილიარდ ლეის ოდენობით.

● **ბერლინი,** 20 დეკემბერი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მე-18 სესიამ.

აესიამ განიხილა და მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის; ზოგადი რეზოლუცია; რეზოლუცია ვიეტნამის გამო; განცხადება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოახლოებულ 50 წლისთავთან დაკავშირებით და სხვ.

თათბირი პრაღაში

პრაღა, 20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის რაიკომების პირველი მდივნებისა და ჩეხეთის ოლქების რაიონული ეროვნული კომიტეტების თავმჯდომარეების თათბირი, რომელიც მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებს.

თათბირი მიმდინარეობდა ლ. შტროუგალის თავმჯდომარეობით. თათბირში მონაწილეობდნენ აგრეთვე პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნები და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დასკვნები და პარტიის შემდგომი მოქმედება ახალი სახელმწიფოსამართლებრივი წყობილების რეალიზაციისათვის, აგრეთვე ეკონომიური პოლიტიკის დარგში თათბირის მონაწილეებს გააცნეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა ს. რაზლმა და ბიუროს მდივანმა ვ. გულამ.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის რაიკომების პირველმა მდივნებმა და რაიონული ეროვნული კომიტეტების თავმჯდომარეებმა განაცხადეს, რომ საესებით ეთანხმებიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა პარტიისა და საზოგადოებრიობის მთელი ძალების დარაზმვა ჩეხოსლოვაკიის თანამედროვე ცხოვრების მთავარი საკითხებისა და მთავარი პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმებზე განიხილეს.

ხო ში მინის წერილი

პანოი, 20 დეკემბერი. (საკდესი). გამარჯვებანი, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამის ხალხმა და შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის სწორი პოლიტიკური გეზის გამარჯვებანია. ნათქვამია წერილში, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა გაუგზავნა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნგუენ ხიუ თხოს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დაარსების მერვე წლისთავის გამო.

წერილში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა, ნათქვამია, რომ სამხრეთ ვიეტნამის ეროვნული ფრონტი, რომელიც არის სამხრეთვიეტნამელი ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი, სამხრეთვიეტნამელი ხალხის ბრძოლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს მოიპოვოს დამოუკიდებლობა, მშვიდობა, ნეიტრალიტეტი და აყვავება და ეხმრაფვის სამშობლოს მშვიდობიან გაერთიანებას.

„რაც შეეხება საიგონის მარიონეტულ ადმინისტრაციას, — აღნიშნულია შემდეგ წერილში, — ეს მხოლოდ მარიონეტთა ხროვაა, რომელიც ღალატს ქვეყანას და ზიანს აყენებს ხალხს, არის აგრესიის იარაღი ამერიკელ იმპერიალისტთა ხელში“ თუ შეერთებულ შტატებს მართლაც სურს მშვიდობა და პატივს სცემს ვიეტნამელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, მან უნდა განიხილოს სამხრეთ ვიეტნამის „განთავისუფლების ეროვნულ ფიციტთან ერთად ყველა საკითხი, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამს ეხება, ნათქვამია წერილში.

წერილში ხაზგასმულია, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის ხალხი მუდამ მზად არის ყოველნაირი მხარდაჭერა გაუწიოს თავის ღვიძლ ძმებს. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში და ეს მიაჩნია თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად.

ახალი დაპატიმრებანი საბერძნეთში

ათენი, 19 დეკემბერი. (საკდესი). **საბერძნეთში განაგრძობენ სამხედრო რეჟიმის მოწინააღმდეგეთა დაპატიმრებას. როგორც ცნობილი გახდა, გასულ კვირაში დაპატიმრეს ათენელი ადვოკატი ლაზაროს კირიცისი, მისი ძმა და ორი სხვა მემარცხენე აქტივისტი, რომლებიც აქამდე ემალებოდნენ პოლიციას.**

ასფალია (პოლიტიკური პოლიცია) თითქმის ყოველდღე აწარმოებს დაპატიმრებას. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე ათენსა და პირეოში დაპატიმრებულია 15-ზე მეტი კაცი.

აგრეთვე ცნობილი გახდა, რომ ეგინისა და ლეროკადის კუნძულების საპატიმროებიდან ათენის (ცენტრალურ საპატიმროში აგეროფში) გადაყვანილია ბევრი პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის ალმასკომის წევრები **ლეონიდას კარკოსი** — გაზეთ „ავგის“ ყოფილი დირექტორი, **პაპაიოტის პარასკევოპულოსი** და მემარცხენე მოძრაობის სხვა თვალსაჩინო მოღვაწენი. ხელისუფალნი ამას იმით ხსნიან, რომ საჭიროა ეგინის კუნძულის საპატიმროს გაწმენდა იმ პატიმრებისათვის, რომლებიც ცენტრისტულ პარტიებს ეკუთვნიან, პატიმრობაში მყოფ მემარცხენე ძალების წარმომადგენლებთან კონტაქტების შეზღუდვის მიზნით.

იტალია. ნეაპოლის უმუშევრებმა ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე გამართეს ჯდომელა დემონსტრაცია. მრავალ პლაკატზე დაწერილია დემონსტრანტების მოთხოვნები — მიეცეთ მათ სამუშაო და შეიქმნას სოლიდარობის ეროვნული ფონდი.

ტელეფოტო იუპი-საკდესისა

X. გოლანის წერილი ჯილსონს

ლონდონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). **დიდ ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა ინგლისის მთავრობას გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდა ჩაერიოს სმიტის რეჟიმის მოქმედებაში, გაათავისუფლებინოს პოლიტიკური პატიმრები და მოსთხოვოს 95 პატიმრისათვის გამოტანილი სიკვდილის განაჩენების შემსუბუქება.**

წერილში შემდეგ ნათქვამია, რომ იმ ღონისძიებების გარდა, რომლებიც შეუძლია განახორციელოს ინგლისის მთავრობას, მან უნდა შეიტანოს ეს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად, რათა შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო ზეგავლენის მოხდენა სმიტის რეჟიმზე.

გადიდდა რადიოაქტიური მოწამვლა

ვაშინგტონი, 20 დეკემბერი. (საკდესი). 8 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთში ამერიკული ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის დროს რადიოაქტიურ ნივთიერებათა გაჟონვის შედეგად გასულ კვირაში მკვეთრად გადიდდა რადიოაქტიური მოწამვლა. ეს აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს მოხსენებაში. დასავლეთის რვა ქალაქის რაიონში ატმოსფეროს კვლევის შედეგად აღმოჩენილია რადიოაქტიურობის ყველაზე მაღალი დონე 1962 წლიდან დღევანდლამდე. ამ ქალაქებს შორისაა სოლტ-ლეიკ სიტი, დენვერი, ფენიქსი და სხვ.

რ. ნიქსონის ინტერვიუ

პარიზი, 20 დეკემბერი. (საკდესი). **როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, შეერთებული შტატების ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კანადის გაზეთ „პრესისადმი“ ინტერვიუში გამოთქვა აზრი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ პრობლემაზე.**

კითხვაზე, როგორია ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება საერთაშორისო ამბებისადმი, ნიქსონმა უპასუხა: „შეერთებულ შტატებს არ შეუძლია იქონიოს იმის პრეტენზია, რომ პატრონობდეს მთელ მსოფლიოს. იზოლაციონიზმზე არ ელაპარაკობ, — თქვა მან, — მაგრამ ცხადია, რომ 200 მილიონი ამერიკელი ვერ უზრუნველყოფს ორი მილიარდი ადამიანის ვერც სამხედრო უშიშროებას, ვერც ეკონომიურ განვითარებას. შეერთებულ შტატებს შეუძლია დეხმაროს ზოგიერთ ქვეყანას, რომლებიც სთხოვენ სამხედრო დაცვას ან ეკონომიურ დახმარებას, მაგრამ არ შეუძლია აწარმოოს ომი სხვა ხალხისათვის, მის მაგიერ“.

რაც შეეხება ვიეტნამის პრობლემას, თქვა რ. ნიქსონმა, შეერთებულმა შტატებმა, რაც შეიძლება მალე უნდა მოეღონ ბოლო ამ კონფლიქტს „საპატიო კომპრომისის“ საფუძველზე და „მოლაპარაკების შედეგად“. „შეერთებულ შტატებს, თქვა მან, — არა მარტო არ შეუძლია ერთპიროვნულად იკისროს ვიეტნამისებური ტვირთი. უმჯობესია არ დავუკავშიროთ ჩვენი ქვეყანა ისეთ სიტუაციებს, როცა იქნება რისკი უშუალოდ შეეჯახოს სსრ კავშირს ან ჩინეთს“.

შეეხო. რა შეერთებული შტატებისა და ევროპის ურთიერთობას, ნიქსონმა კვლავ მოითხოვა ნატოს გაძლიერება, განაცხადა, ახლანდელი მდგომარეობა ევროპაში ამტკიცებს, რომ „ნატო წინანდებურად საჭიროაო“. მაგრამ ყოველივე ეს, მისი სიტყვით, „არ უნდა უშლიდეს ხელს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების განგრძობას ძირითად აქტუალურ პრობლემებზე“.

აღნიშნა რა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უფრო მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს ნატოს წევრ „ევროპელ პარტნიორებთან“, რ. ნიქსონმა დუმილით აუარა გვერდი ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნა. იგი აგრეთვე არ შეხებია განიარაღებისა და ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებს, თუმცა, როგორც ცნობილია, ამ საარსებო მნიშვნელობის პრობლემათა გადაჭრასთან უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

კითხვაზე, რა აზრისაა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ნიქსონმა არსებითად გვერდი აუარა უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულების საკითხს, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ რაიონში მდგომარეობის მოწესრიგების ნამდვილად რეალური საფუძველია.

ატომური აფეთქება

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ნევადის უდაბნოში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახდინა მიწისქვეშა ატომური აფეთქება, რომელიც ერთი მილიონი ტონა ტინიტროტოლუოლის ეკვივალენტური იყო. აფეთქება მოხდა შახტში 1.400 მეტრ სიღრმეზე. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ჟურნალისტებმა, რომლებიც ტელევიზიით ადევნებდნენ თვალს გამოცდას საკონტროლო პუნქტიდან, რომელიც დაახლოებით 18 კილომეტრით არის დაშორებული აფეთქების ეპიცენტრს, იგრძნეს, რომ მიწა შეირყა მათ ფეხქვეშ. ეს „რყევა“ 4-5 წამს გაგრძელდა. დაზიანდა ლას-ვეგასის რამდენიმე შენობა, რომელიც დაახლოებით 170 კილომეტრზე მდებარეობს აფეთქების ადგილიდან.

დაიხურა გაზეთი „პოპულარი“

მონტევიდეო, 19 დეკემბერი. (საკდესი). ურუგვაის პრეზიდენტმა ხორხე პაჩეკო არეკომ ხელი მოაწერა დეკრეტს კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „პოპულარისა“ და ყოველკვირეულ „ოსკიერდის“ დროებითი დახურვის შესახებ. „პოპულარი“ გუშინ არ გამოსულა.

პრესის ცნობებში აღნიშნულია, რომ ამ გაზეთებმა თითქოს დაარღვიეს დებულება „უშიშროების საგანგებო ღონისძიებათა“ შესახებ, რომლებიც მიმდინარე წლის ივნისიდან არის შემოღებული ურუგვაიში.

ისევ „ოქროს ციებ-ცხელება“

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). „ოქროს ახალი ციებ-ცხელებით“ უპასუხა დასავლეთის ფინანსურმა სამყარომ ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი ფინანსთა მინისტრის დევიდ კენედის პრეს-კონფერენციას.

კორესპონდენტთა კითხვას, განგრძობს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მთავრობა, რომელიც ხელისუფლებას მომავალი წლის 20 იანვრიდან ჩაუდგება სათავეში, უნეკია ოქროში 35 დოლარის ოფიციალური ფასის შენარჩუნების პოლიტიკას, დ. კენედიმ ორჭოფულად უპასუხა: „მე მსურს, — თქვა მან, — ახალ მთავრობას შეეკონარჩუნო ყოველგვარი არჩევანის უფლება“.

ამერიკელმა ფინანსისტებმა ეს პასუხი მიიჩნიეს ოქროს ფასების საკითხში ამერიკის პოლიტიკის შეცვლის შესაძლებლობად. პრესაში პირდაპირია გამოთქმული ვარაუდი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შესაძლოა გადიდოს ოქროს ოფიციალური ფასები, რაც დოლარის დევალვაციას გამოიწვევს.

ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი მთავრობის ხელმძღვანელები, როგორც ჩანს, არ ელოდნენ საქმის ასე შემობრუნებას. გუშინ რონალდ ზიგლერმა „ახლად არჩეული პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის თანაშემწემ პრესასთან ურთიერთობის საკითხებში, სასწრაფოდ გააკეთა განცხადება, რომელიც ითვალისწინებდა შეწყვეტილიყო პანიკა კაპიტალისტური სამყაროს ფინანსურ წრეებში. „ჩვენ არ ველით რაიმე ცვლილებებს ოქროს ფასში“, — თქვა მან.

მაგრამ ამ „დამამშვიდებელმა“ განცხადებამ ჯერჯერობით სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. „ოქროს ციებ-ცხელება“ გრძელდება, და როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, შეუძლია უაღრესად სერიოზული შედეგები გამოიწვიოს მთელი დასავლეთის საკალიტო სისტემისათვის.

ინტელიჯენს სერვისი და ბი-ბი-სი

პარალელური ანტიკომუნიზმის

ეროვნული

ეროვნული

**ეროვნული

ჩვენს კალამ-ჟურნალში

გვაბეჭდინებენ „კომუნისტის“ და საქმესის კორესპონდენტები

ლენინური კომკავშირის სახელობის

თბილისელი ბავშვების დიდ მეგობარს — **რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრს მიენიჭა ლენინური კომკავშირის სახელი.** ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი თეატრი — მოზარდ მაყურებელთა თეატრი ორმოც წელზე მეტია ერთგულად ემსახურება ნორჩი თაობის აღზრდას, ფეხდაფეხ მიჰყვება ცხოვრებას, სიხარული მოაქვს ბავშვებისათვის, ასწავლის მშვენიერების გაგებას.

18 დეკემბერს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის ლენინური კომკავშირის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრის დირექტორმა ი. გოცირიძემ. მაღალი წოდება, რომელიც თეატრმა დაიმსახურა. — თქვა მან, გვავალებს უფრო კარგად, ნაყოფიერად ვიმუშაოთ.

მაყურებლები ტაშით შეხვდნენ სცენის ვეტერანებს — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. ვაისერმანს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ო. ბელენკოს, დამსახურებულ არტისტებს მ. ბუბუტეიშვილს, ჩ. კიროვს, გ. კირსანოვს, ა. იუდინას, ა. ენგელგარდტს, ტ. პაპიტაშვილს, ყველას, ვინც საძირკველი ჩაუყარა თეატრს.

შემდეგ უჩვენეს ნაწყვეტები თეატრის დადგმებიდან.

თეატრის კოლექტივს მიესალმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გამრეკელი და თეატრის დირექტორს ი. გოცირიძეს გადასცა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელი.

მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მუშაკებს მიულოცეს კომკავშირის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ყიფიანმა, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროორექტორმა ე. გუგუშვილმა, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ბ. ორჯონიკიძემ, პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. კობახიძემ. თავის საყვარელ თეატრს აგრეთვე მიესალმნენ თბილისის სკოლების პიონერები.

(საქდესი).

სიცოცხლე გადარჩა...

ეს მოხდა წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში. მასწავლებელ შ. კილაძის სახლს ხანძარი გაუჩნდა. ცეცხლის ენები მაღლა მიიწევდნენ და ვერავინ ბედავდა სტიქიასთან შებმას. ამ დროს კი სახლში დარჩენილი ორი ძუძუმწოვარა ბავშვის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

ბედად, ხანძრის ადგილზე გაჩნდა ქუთაისის მილიციის სამმართველოს მუშაკი სერგანტი იური ქართველიშვილი, რომელიც იმ დღეს თავის მშობლიურ სოფელში ჩამოსულიყო და შინ მიმავალს კვიცისა და ყვირილის ხმა გაეგონა.

ი. ქართველიშვილი დაუყოვნებლივ შევარდა ცეცხლმოკიდებულ სახლში. მამაც ადამიანს უმალვე წამოეშველნენ და ცეცხლში შეეყვნენ გეგუთის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშები ვ. ჩოგოვაძე, გ. ხაჟალია და სტუდენტი ზ. ჩოგოვაძე.

ის იყო მამაცმა ადამიანებმა აკვნის ორი პატარა ბავშვი სამშვიდობოზე გამოიყვანეს, რომ სახლიც ჩამოიქცა.

ასე გადაარჩინა კომუნისტ ი. ქართველიშვილის გამბედაობამ ნორჩების სიცოცხლე.

შ. ჯაფარაძე,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

მიწისძვრა წყნარ ოკეანეში

კამჩატკის პეტროპავლოვსკი, 20 დეკემბერი. (საკდესი). კამჩატკის სეისმურმა ხელსაწყოებმა 18 საათსა და 19 წუთზე მოსკოვის დროით აღნიშნეს მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი წყნარ ოკეანეში იყო 110 კილომეტრზე კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან.

ბიძგების ძალა კამჩატკის პეტროპავლოვსკსა და მის მიდამოებში უდრიდა ექვს ბალს (თორმეტბალიანი სისტემით).

მიწისძვრას არავითარი ზარალი არ გამოუწვევია.

„სიყვარულის“ ვლანტაციები

370 ჰექტარი ფართობი უჭირავს ჩვენი ქვეყნის ციტრუსეობის უმსხვილესი მეურნეობის — გაგრის რაიონის კოლხეთის საბჭოთა მეურნეობა „სიყვარულის“ ციტრუსების პლანტაციებს. ეს ახალგაზრდა მეურნეობა შეიქმნა ხუთი წლის წინათ სამი ჩამორჩენილი კოლმეურნეობის ბაზაზე, რომელთა ციტრუსების პლანტაციები 10 ათასზე ნაკლებ ხეს ითვლიდნენ. ამჟამად კოლხეთის საბჭოთა მეურნეობაში 370 ათასი ციტრუსის ხეა. მეურნეობის ნორჩი პლანტაციები მსხმოიარე გახდებიან 1969 წლიდან. ციტრუსების მდიდარი მოსავალი მიიღეს საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა მიმდინარე სეზონშიც. სახელმწიფოს ასობით ტონა მანდარინი ჩაბარეს. **სურათზე:** გაგრის რაიონის კოლხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „სიყვარულის“ ციტრუსების პლანტაციების ხედი. ფოტო პ. **ლუცენკოსი** (საქდესის ფოტოკორონიკა).

ნუმიზმატიკის ჩინებული სპეციალისტი

ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობა ამ დღეებში აღნიშნავს გაჟღენილი ქართველი ნუმიზმატის პროფესორ დავით კაპანაძის დაბადების 70 და სამეცნიერო მოღვაწეობის 30 წლისთავს.

დ. კაპანაძის მთელი ცხოვრება განუყრელად დაკავშირებულია ქართული ფულის ისტორიის კვლევასთან. დ. კაპანაძე დაიბადა 1898 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. ძველებური მონეტებისადმი ინტერესი დ. კაპანაძეს ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გამოუჩენია და დაუწყია მათი შეგროვება. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მას არ მიეცა საშუალება გაეგრძელებინა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში და იძულებული გამხდარა შესდგომოდა სამსახურს, მაგრამ ძველებური მონეტების შეგროვება დ. კაპანაძეს არ შეუწყვეტია; პირიქით, ის აფაროთებს ამ მხრივ მუშაობას, დამოუკიდებლად ეცნობა ნუმიზმატიკურ ლიტერატურას, ეუფლება ამ საგანს.

ოციანი წლებიდან დ. კაპანაძე დაუკავშირდა ცნობილ ნუმიზმატს ვ. პახომოვს და საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტს, რომელსაც განაგებდა ისტორიკოსი და ნუმიზმატი თ. ლომოური. ამ დროისთვის დ. კაპანაძე უკვე ცნობილი კოლექციონერი იყო. ე. პახომოვის რჩევით მან მთელი ყურადღება გადაიტანა ქართულ მონეტებზე და შემდეო გაიმდიდრინა თავისი კოლექცია იშვიათი და უნიკალური ქართული მონეტებით.

დ. კაპანაძის ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ 1937 წელს ის მიიწვიეს როგორც ნუმიზმატი ჯერ დმანისს, გეგუთნისა და ბუდარეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში, შემდეგ, აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის წინადადებით, რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში.

1939 წლიდან დ. კაპანაძე მუშაობას იწყებს საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში. აქ მის ენერგიასა და ცოდნას ფართო ასპარეზი გაეხსნა. კაბინეტში მისი მოთავეობით განხორციელდა დიდი სამუშაო, რის შედეგადაც მდიდარი ნუმიზმატიკური ფონდები სანიმუშოდ იქნა მოწესრიგებული. ამავე დროს დ. კაპანაძე იწყებს ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას, ზედიზედ აქვეყნებს ნაშრომებს ქართული ნუმიზმატიკის მნიშვნელოვან საკითხებზე და იმკვიდრებს ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის სახელს. აღსანიშნავია, რომ ის კვლავაც მონაწილეობს დიდ არქეოლოგიურ გათხრებში — სამთავროს სამაროვანზე, არმაზში, ბაგინეთზე და სხვ.

1948 წელს დ. კაპანაძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას და იმავე წელს ინიშნება გამგედ მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში, რომელიც, მისივე მეცადინეობის შედეგად, ათი წლის შემდეგ გადაიქცა ნუმიზმატიკის განყოფილებად.

1950 წელს დ. კაპანაძემ გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი — „ქართული ნუმიზმატიკა“, სადაც განხილულია ქართული ფულის განვითარების 2.500-წლოვანი ისტორია. ნაშრომმა იმდენად დიდი ყურადღება მიიქცია, რომ 1955 წელს ის შეესებული სახით რუსულ ენაზე გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ.

1957 წელს დ. კაპანაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მისმა შრომებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა, ისინი ქვეყნდება როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე რუსეთისა და საზღვარგარეთის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო ორგანოებში. დ. კაპანაძე ცხოველ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში. მისი სამეცნიერო ნაშრომების რიცხვი ამჟამად სამიცს აღემატება.

დ. კაპანაძე გამუდმებით ზრუნავს სპეციალისტების აღზრდაზე. 1948 წლიდან კითხულობს ქართული ნუმიზმატიკის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის პროფესორიც ის არის. არაერთმა და ორმა ახალგაზრდამ როგორც ჩვენი, ისე მომე რესპუბლიკებიდან მისი ხელმძღვანელობით გაიარა საასპირანტო კურსი და მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი.

დ. კაპანაძე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა — როგორც საზოგადოება „ცოდნის“ წევრი კითხულობს საჯარო ლექციებს, აქვეყნებს სამეცნიერო-პოპულარულ ნამრომებსა და წერილებს.

დ. კაპანაძის დაუღალავი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის საუკეთესო აღიარება იყო მისთვის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭება 1967 წელს. იგი აგრეთვე დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ჩვენ მხურვალედ ვეგებებით დ. კაპანაძის სახელოვან იუბილეს და დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ის ჩვეული ენერგიითა და გატაცებით კვლავ განაგრძობს კეთილშობილ და ნაყოფიერ შრომას.

შ. ამირანაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ეს საინტერესოა

ენერგიის წყარო — ჰაერი!

ეს შანტაჟია როდია. ატმოსფერული ჰაერი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სითბო, რომელსაც იგი შეიცავს, ნამდვილად შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ. ეს დაამტკიცა ცნობილმა საბჭოთა თბოტექნიკოსმა, თბომავალმშენებლობის პიონერმა პროფესორმა ა. ნ. შელუტამ, რომელსაც ჯერ კიდევ 1948 წელს მიეცა საავტორო მოწმობა „ატმოსფერული სითბოს მანქანის“ გამოგონებისათვის. მის მიერ შემუშავებული ეკონომიური მანქანის ციკლი მოიწონა ბევრმა დიდმა მეცნიერმა, მათ შორის გზისა და ორთქლის ტურბინების გამოჩენილმა სპეციალისტმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ს. ყირიკამ (სხვათა შორის მისი სახელი ეწოდა ერთ-ერთ კრატერს მთვარის მეორე მხარეზე). ენთუზიასტთა ჯგუფი მეცნიერს დაეხმარა განეხორციელებინა გაბედული იდეა. მაგრამ გამომგონებლის უეცარმა გარდაცვალებამ ხელი შეუშალა საქმის დასრულებას. შეისწავლა რა ა. ნ. შელუტის — ოთხმოცი სამეცნიერო ნაშრომისა და ოცზე მეტი გამოგონების ავტორის მემკვიდრეობა — მისმა ვაჟმა, აგრეთვე თბოტექნიკოსმა, პ. ა. შელუტამ გადაწყვიტა დაემთავრებინა გამოგონებული მანქანის შეწყვეტილი ტექნიკური გაანგარიშებანი. და აი ოცი წლის შემდეგ გაჩნდა მისი გაანგარიშების მწყობრი სისტემა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა უახლესი მოთხოვნა.

— როგორ უნდა იმოქმედოს ამ მანქანამ?

— მანქანა შედგება ორი კონტურისაგან, თქვა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა პ. ა. შელუტამ. — პირველ კონტურში ატმოსფერული ჰაერი იკუმშება და, მაშასადამე, ხურდება. შემდეგ იგი ხვდება მეორე კონტურში. ამ კონტურში გახურებული ჰაერი სპეციალური თბოგადამცემით სითბოს აძლევს სითხეს, რომელიც ადვილად დუღდება და გადაიქცევა ორთქლად. ორთქლი გადადის ტურბინაში და ამოძრავებს გენერატორს, რომელიც ელექტროენერგიას გამომუშავებს. გაანგარიშების თანახმად, ეს დანადგარი ატმოსფერული სითბოს გამოყენებით მანქანის მარგი ქმედების კოეფიციენტს მნიშვნელოვანი გადიდების საშუალებას იძლევა. მასში ხომ მოქმედებს კარგად ცნობილი სითბური ტუმბოს პრინციპი.

თანამედროვე პირობებში საგანგებით შესაძლებელია ამ ეკონომიური დანადგარის დამზადება.

ა. პრესნიაკოვი,
საკდესის კორესპონდენტი.

ფეხბურთი

მსოფლიოს ჩემპიონმა საათი გააჩერა

რიგა, 20 დეკემბერი. (საკდესის კორესპონდენტი დ. გეფტერი). სსრ კავშირის გუნდური საჭადრაკო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის დაუმთავრებელი პარტიების დამთავრებისას ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა გროსმაისტერ **გუფელდის** („ეიარაღებული ძალები) შეხვედრა ოტტ **მურემთან** („ლოკომოტივი“). ამ პარტიაში **გუფელდი** შავიანთ თამაშობდა. დაფაზე ძალთა იშვიათი თანაფარდობა იყო: სამი ერთმანეთთან დაკავშირებული თეთრი პაიკი ეტლისა და ერთი შავი პაიკის წინააღმდეგ. მაგრამ **გუფელდმა** ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება და მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. როცა გათამაშდა დაუმთავრებელი პარტიები, აღმოჩნდა, რომ მეშვიდე ტური ყველაზე შედეგიანი ყოფილა. „ტრუდოსა“ და „მოლდოვას“ აგრეთვე „ბურევესტნიკისა“ და „დინამოს“ გუნდების მატჩებში ანბიტრებმა აღნიშნეს რეკორდული შედეგები: შესაბამისად 8,5:0,5 და 8,5:1,5 ქულა.

მერვე ტურის წინ, რომელიც 19 დეკემბერს გათამაშდა, მდგომარეობა არ შეცვლილა, კვლავინდებურად წინ „ბურევესტნიკი“ იყო — 48 ქულა, მეორეზე — ორმეიელები, რომლებსაც ქულანახევრით ნაკლები აქვთათ, მესამეზე — „ავანგარდი“ — 41,5 (3). თოქოს ვეღარავინ ვეღარ შეაჩერებდა „ბურევესტნიკის“ წინსვლას ოქროს medlebisakenen.

მაგრამ ნომერი პირველი სენსაცია მერვე ტურში იყო ლიდერის დამარცხება „ავანგარდთან“, რომელიც „ბურევესტნიკს“ ჩამორჩება 6,5 ქულით. ჯერჯერობით უკრაინელი მოჭადრაკენი უგებენ სტუდენტებს ანგარიშით 2:1.

ტურის მერე სენსაცია იყო მსოფლიოს ჩემპიონის **ნონა გაფრინდაშვილის** („ბურევესტნიკი“) დამარცხება ავანგარდელ **ოლგა ანდრეევასთან.** აი როგორ მიმდინარეობდა ეს საინტერესო პარტია. მეტოქეებმა გათამაშეს სიცილიური დაცვა, **ანდრეევა** ძალიან გაბედულად თამაშობდა და ფიგურა შესწირა. ზუსტი დაცვის დროს შეიძლებოდა იერიშის მოგერიება, მაგრამ **ანდრეევას** მხარეზე ორი უპირატესობა აღმოჩნდა, რომლებითაც მან ბრწყინვალედ ისარგებლა. ჯერ ერთი, მან იცოდა, რომ „ბაღრაკის დედოფალს“ არ უყვარს, როცა მას უტევენ. როცა საჭიროა ზუსტი გაანგარიშება, როცა დაფაზე რთული და გაუგებარი მდგომარეობაა, **გაფრინდაშვილი** თავის სტიქიაშია — თამაშობს ზუსტად და შეუცდომლად. მისი ეს სტილი რაღაცით ჰგავს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტალის მანერას.

მაგრამ აქ ყველაფერი პირიქით იყო. მეორე, **გაფრინდაშვილი** სტრეს ციაენოტში მოხვდა — ცხრა რთულ პოზიციაში. მაგრამ თუ ტალისთვის მხოლოდ წუნნაგი [illegible] ... ეს ... ერი რჩებოდა. ციაენოტ[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [